სსიპ ნიკო მარის სახელობის
დაბა ჩოხატაურის №1 საჯარო სკოლა

LEPL CHOKHATAURI
BOROUGH NIKO MARI PUBLIC SCHOOL №1

4900 ნ. მარის ქუჩა №1

Chokhatauri1@mes.gov.ge
მობ: 577 17 11 64

სსიპ ნიკო მარის სახელობის დაბა ჩოხატაურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის

ბრძანება N 2 - 22

ჩოხატაური 31.03.2025 წელი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სსიპ ნიკო მარის სახელობის დაბა ჩოხატაურის N1 საჯარო სკოლის ბალანსიდან ჩამოწერილი შენობა-ნაგებობის (ძველი სასწავლო კორპუსი) დემონტაჟის შედეგად მისაღები ვარგისი ნაწილებისა და მასალების პირობებიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

სსიპ - ნიკო მარის სახელობის დაბა ჩოხატაურის N1 საჯარო სკოლის ბალანსიდან ჩამოწერილი შენობა-ნაგებობის (სასწავლო კორპუსის) დემონტაჟის შედეგად მისაღები ვარგისი ნაწილებისა და მასალების პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს N239 დადგენილებით დამტკიცებული ,,საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თითმმართველობის ორგანოებისთვის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სარგებლობაში გადაცემული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან ლიკვიდაციის ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით განსხვისებისა ან სხვა ნებისმიერი სახით განკარგვის წესი'' - ს მე-5 მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტის და უძრავი ქონების შემფასებლის თინა თენიეშვილის (სერთიფიკატი N- A0004 თარიღი- 02.03.2024) საინჟინრო-საექსპერტო დასკვნის, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენთოს 2025 წლის 20 თებერვლის N135225 თანხმობის წერილის და საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს 2025 წლის 17 თებერვლის თანხმობის წერილის N162801 საფუძველზე

ვბრძანება:

1. გამოტანილ იქნას პირობებიან ელექტრონულ აუქციონზე სსიპ ნიკო მარის სახელობის დაბა ჩოხატაურის N1 საჯარო სკოლის ბალანსიდან ჩამოწერილი:
   ა) ნ.მარის ქ. N1 28. 01.22.1021 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მდებარე ამორტიზირებული შენობა-ნაგებობა N1 (სასწავლო კორპუსი);
2. გამოცხადდეს სკოლის სასწავლო კორპუსის დემონტაჟის აუქციონი 2025 წლის 01 აპრილის 12 საათიდან 2025 წლის 03 აპრილის 18 საათამდე.

3. საპრივატიზებო პირობად განისაზღვროს ამორტიზებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟი, დემონტაჟის შედეგად გამოთავისუფლებული ტერიტორიის მოსწორება, ჩაღრმავებული ადგილების ამოვსება და სამშენებლო ნარჩენებისაგან ტერიტორიის სრული გასუფთავება გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) თვის ვადაში.
4. საპრივატიზებო ქონების საწყისი საპრივიტიზებო საფასურის, ,,ბე" -ს და ,,ბიჯის" ოდენობა დადგინდეს დანართი N1-ის შესაბამისად.
5. დამტკიცდეს აუქციონის შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაცია დანართი N2-ის შესაბამისად.
6. აუქციონის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებული იქნეს ვებ გვერდზე. www.eauction.ge.
7. დაევალოს სკოლის საქმისმწარმობელს ამ ბრძანების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში ატვირთვა, კანონდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება და დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა;
8. დაევალოს სკოლის საქმისმწარმოებელს ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირთათვის;
9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის მაგისტრანტ სასამართლოში (მის: ოზურგეთი სიორიძის ქ. N14)

სსიპ ნიკო მარის სახელობის
დაბა ჩოხატაურის N1 საჯარო სკოლის
დირექტორი: /ეთერ წილოსანი/

დანართი N1 - ბრძანება N 2 - 22 31.03.2025

N	ობიექტს დასახელება	მისამართი	საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)	„ბე" (ლარი)	„ბიჯი" (ლარი	მიწის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი)
1	სსიპ ნიკო მარის სახელობის დაბა ჩოხატაურის N1 საჯარო სკოლის ბალანსიდან ჩამოწერილი შენობა-ნაგებობა (სასწალვო კორპუსი N1)	ნიკო მარის ქ. N1	0	500	200	28. 01.22.1021

დანართი N2 - ბრძანება N 2 – 22 31.03.2025

პირობები:
სსიპ-ნიკო მარის სახელობის დაბა ჩოხატაურის N1 საჯარო სკოლის სარგებლობაში არსებული შენობა ნაგებობის (სასწავლო კორპუსი N1), მდებარე ჩოხატაური, ნიკო მარის ქ. N1, საკადასტრო კოდი: 28. 01.22.1021 დემონტაჟი საძირკველის ჩათვლით, დემონტაჟის შედეგად გამოთავისუფლებული ტერიტორიის მოსწორება, ჩაღრმავებული ადგილების ამოვსება და სამშენებლო ნარჩენებისგან ტერიტორიის სრული გასუფთავება.

გამყიდველსა და გამარჯვებულს შორის იდება ნასყიდობის ხელშეკრულება

შენობა-ნაგებობისა და მისგან წარმოქმნილი ნარჩენების გატანის ვადად განისაზღვროს 3 (სამი) თვე, აღნიშნული ვადა აითვალოს აუქციონში გამარჯვებულ პირთან ხელშეკრულების გაფორმებიდან.

გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებამდე წარმოადგინოს საგადასახადო დავალიანების არქონის დამადასტურებელი დოკუმენტი.

გამარჯვებულის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს აუქციონის დასრულებიდან 15 (თხუტმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

ქონების საბოლოო ღირებულების სრულ დაფარვამდე გამარჯვებულ პირს არ გაუფორმდება ხელშეკრულება და არ მიეცემა სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებაზე თანხმობა.

შენობა- ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანა საკუთარი ხარჯებით უნდა განახორციელოს აუქციონში გამარჯვებულმა პირმა.

სადემონტაჟო სამუშაოების შესრულების სანაცვლოდ აუქცუონში გამარჯვებულს საკუთრებაში გადაეცემა დემონტაჟის შედეგად მიღებული მეორადი სამშენებლო მასალები.

გამარჯვებულს უნდა ჰქონდეს სადემონტაჟო სამუშაოების განსახორციელებლად შესაბამისი ტექნიკა.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების დასადასტურებლად გამარჯვებული ვალდებულია სამუშაოს დასრულებიდან გონივრულ ვადაში წარმოადგინოს სადენოტაჟო სამუშაოების შესრულების საბოლოო ანგარიში, რის შემდეგაც შესრულებული სამუშაოს მიხედვით ფორმდება სადემონტაჟო სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი, რაც წარმოადგენს ,,მყიდველის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დადასტურებას.

გამარჯვებული ვალდებულია უსაფრთხოების მაქსიმალურად დაცვის მიზნით:
ა) მოაწყოს ტიხარი სადემონტაჟო შენობასა და ტუალეტს შორის.
ბ) არ დაუშვას ავტომობილებისა და დემონტაჟის დროს გამოყენებული სხვა ტექნიკის უკონტროლო გადაადგილებები და მოქმედებები.

ინტერნეტ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა უნდა გადაიხადოს საგარანტიო თანხა, საგარანტიო თანხის გადახდა შესაძლებელია ნაღდი ანგარისწორებით, ვებ-გვერდიდან პლასტიკური ბარათით ან ელექტრონული საბანკო გარანტიის გამოყენებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან eauction.ge ანგარიშსწორების სისტემის სერვისის გამოყენებით (სს „ლიბერთი" ბანკის

ნებისმიერ ფილიალში. დაწვრილებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ,,ინფორმაცია გადახდებზე" ან დაუკავშირდით სააგენტოს ცხელ ხაზზე 1420.

ელექტრონული აუქციონის შედეგები გაუქმდება და ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის მიერ წარმოდგენილი გადახდილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიაზე სრულად ჩაირიცხება სსიპ - ნიკო მარის სახელობის დაბა ჩოხატაურის N1 საჯარო სკოლის ბიუჯეტში, თუ:
ა) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა შესაბამისი ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარი განაცხადა.
ბ) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა აუქციონატორის მიერ განსაზღვრულ ვადაში არ გადაიხადა ქონების სრული ღირებულება.
გ) იმ შემთხვევაში, თუ აუქციონში გამარჯვებულმა დაარღვია აუქციონში მონაწილეობის „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონით და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის10 თებერვლის №1-1/172 ბრძანებით დამტკიცებული ,,სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" წესით გათვალისწინებული პირობები.

თუ ელექტრონული აუქციონი არ შედგა იმ მიზეზით, რომ ელექტრონულ აუქციონში რეგისტრირებული პირები, რომლ;ებმაც გადაიხადეს ,,ბე" ან წარმოადგინეს/გააქტიურეს (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, არ მიიღებენ მონაწილეობას ვაჭრობაში. ელექტრონული აუქციონის მონაწილეების მიერ გადახდილი ,,ბე" ან წარმოდგენილი/გააქტურებული (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია სრულად ირიცხება სსიპ-ნიკო მარის სახელობის დაბა ჩოხატაურის N1 საჯარო სკოლის ბიუჯეტში.

მყიდველს ,,ბე" უპირობო/გამოუხმობი საბანკო გარანტია ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.

აუქციონის დასრულებამდე ქონების დათვალიერება შესაძლებელია პრივატიზების განმახორციელებელ ორგანოსთან შეთანხმებით.

შენიშვნა: ,,მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილების შესაბამისად, უსაფრთხოების ნორმების დაცვით.